MES 5 22 0000786609

11/07/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
დავით მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს აკადემოსი
თამარ ჩანტლაძე - სკოლის დირექტორი
ბიჭიკო ოჩიგავა - სკოლის წარმომადგენელი

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი
მარიამ ხიდეშელი - სკოლის წარმომადგენელი

შპს სკოლა ჩირაღდანი
დავით კაპანაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს აკადემოსი
ხათუნა ბარაბაძე
გულნარა ხაბურზანია

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი
ხათუნა ბარაბაძე
ელენე კალანდაძე

შპს სკოლა ჩირაღდანი
ცირა ნიკოლაშვილი
ნინო მუმლაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 27 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს აკადემოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სკოლა ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს აკადემოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 და 20 მაისს. ექსპერტის თქმით, დაწესებულება აკმაყოფილებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტით გათვალისწინებულ პირობებს. ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლა ორიენტირებული იყო და ახორციელებდა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, რისი დამადასტურებელიც იყო მათ მიერ განხორციელებული პროექტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ დიდი გამოცდილება და იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში, იქნებოდა ეს დემოკრატიული კულტურის განვითარება, თუ სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. ხათუნა ბარაბაძემ დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა კლუბები და სკოლაში ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. ექსპერტის განცხადებით, ის გაესაუბრა მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რომლებმაც წარუდგინეს საკუთარი აქტივობები. თვითმმართველობა საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. გარდა შემეცნებითი პროცესებისა, მოსწავლეებს ჰქონდათ მაღალი აკადემიური

მოსწრება. მისი თქმით, ამ ფაქტს ადასტურებდა არა მარტო მათი შეფასებები, არამედ მათი წარმატებები სხვადასხვა ოლიმპიადებსა და ღონისძიებებზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საგრანტო კონკურსების გამოცდილება. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება სხვადასხვა სახის გრანტებსა და შეღავათებს თავაზობდა მოსწავლეებს. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, დაწესებულებაში არსებობდა მოსწავლეებისთვის რეკრეაციული ზონები.
ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლას განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 188 მოსწავლეზე და ექსპერტები სრულად ეთანხმებოდნენ აღნიშნულ რაოდენობას, რადგან დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი ორსართულიანი შენობა, რომელიც აღჭურვილი იყო ლაბორატორიებით, ბუნებრივი განათებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სამივე საგანმანათლებლო საფეხური და ყველა კლასი.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ პანდემიის პერიოდის მიუხედავად, სკოლა ორიენტირებული იყო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე და დაწესებულებამ, მოსწავლეთა საჭიროების კვლევის საფუძველზე, შეთავაზა მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 188 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აკადემოსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 188 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს აკადემოსს (ს/კ: 202061295) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 188-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომას 15:20 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი.

2. შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 3 მაისს ფიზიკურ გარემოში, ხოლო 4 მაისს დისტანციურ ფორმატში. ექსპერტის თქმით, სკოლა მოტივირებული იყო გაეთვალისწინებინა რჩევები და რეკომენდაციები. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ მათ ყველა ხარვეზზე და რეკომენდაციაზე წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები და გაითვალისწინეს წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან მიცემული რჩევები. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ვიზიტის დროს დაუფიქსირდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველ და მეორე სტანდარტთან შეუსაბამობა. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ აღნიშნული მიმართულებებით ვიზიტის შემდგომ იმუშავა და გაითვალისწინა ექსპერტთა მხრიდან გაცემული რეკომენდაციები ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლამ ვერ შეძლო პირველ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რადგან ამ კუთხით დაწესებულებას უფიქსირდებოდა ხარვეზები. ექსპერტის განმარტებით, 2018-2019 სასწავლო წლიდან საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში ირიცხებოდა 44 უცხოელი მოსწავლე, მათი ნაწილი უკვე გადასული იყო სხვა სკოლაში. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 11 უცხო ქვეყნის მოქალაქე. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულებამ ვერ წარმოუდგინა მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეძლეს გასაუბრებოდნენ რამდენიმე უცხოენოვან მოსწავლეს, რომლებიც მეტყველებდნენ ქართულად. ექსპერტის თქმით, სკოლამ ვერ შეძლო წარედგინა დოკუმენტაცია აღნიშნული მოსწავლეების შეფასებებთან დაკავშირებით. აღნიშნული უცხოელი მოსწავლეების ნაწილი ვიზიტის პერიოდში იმყოფებოდნენ სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ირანში, შესაბამისად, ექსპერტებმა ვერ შეძლეს მათთან გასაუბრება პირისპირ ან/და დისტანციურ ფორმატში. დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაეთანხმა დოკუმენტაციის სისწორეს, გამომდინარე იქიდან, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოსწავლეები სწავლობდნენ გაუგებარი და დაუგეგმავი პროგრამით. ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმების დაკმაყოფილება, რადგან ვერ გადამოწმდა ინდივიდუალური გეგმების მიხედვით სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. ექსპერტის განცხადებით, მასწავლებლების შეფასების სისტემა იყო დაუმუშავებელი და პედაგოგი მოსწავლეებს აფასებდა წინასწარ განუსაზღვრელი

კრიტერიუმების მიხედვით. ამ ხარვეზის დაფიქსირების შემდეგ, სკოლამ საყვედური გამოუცხადა აღნიშნულ მასწავლებელს. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლას მატერიალური რესურსი ჰქონდა მოწესრიგებული. თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა არაორდინალური მდგომარეობა ტერიტორიული თვალსაზრისით. დაწესებულებას ეკავა შენობის პირველი და მესამე სართული. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, მეორე სართულზე მდებარეობდა საბავშვო ბაღი, რომელიც იზოლირებული იყო სკოლისგან. ექსპერტის განმარტებით, მესამე სართული იყო მანსარდული ტიპის, რომელიც იყო აღჭურვილი მოსწავლეებისთვის საჭირო რესურსებით. ექსპერტის განცხადებით, მათ გასცეს რეკომენდაცია, რომ მანსარდული ტიპის საკლასო ოთახებში 8-10 მერხზე მეტი მოსწავლე არ განთავსებულიყო. შესაბამისად, ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა დაწესებულების განაცხადი ზღვრული რაოდენობის მოთხოვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 217 მოსწავლეზე. ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლას ჰქონდა 180 მოსწავლისთვის საჭირო რესურსი. მიუხედავად იმისა, რომ შენობის შუა ოთახები იყო დიდი და ნათელი, შენობის მესამე სართულის კიდის ოთახებში შეუძლებელი იყო 18 მოსწავლის განთავსება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლა აპირებდა შეემცირებინა დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა, რისი განხორციელებაც, ექსპერტის ვარაუდით, შეუძლებელი იყო.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ პანდემიამდე სკოლას ჰქონდა საერთაშორისო გამოცდილება ინგლისთან ურთიერთობის, თუმცა მიმდინარე პერიოდში სკოლაში გაცვლითი პროგრამები აღარ ფუნქციონირებდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებისა და მათი მშობლების თქმით, გარემო იყო უსაფრთხო. ხათუნა ბარაბაძის თქმით სკოლის გარე პერიმეტრი არ კონტროლდებოდა ვიდეო კამერით და დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა ექსპერტთა რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლების ანგარიშებში დაფიქსირებული იყო მოსწავლეების სახელები და გვარები და მათი შეფასებები. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ მასწავლებელთა ანგარიშებიდან ამოეღოთ მოსწავლეთა პირადი მონაცემები, რადგან მასწავლებლის ანგარიში უნდა ყოფილიყო საერთო კლასის ანალიზისა და პროგრესის მაჩვენებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საუკეთესო პრაქტიკა დამატებით მეცადინეობებთან დაკავშირებით, სკოლა უტარებდა დამატებით გაკვეთილებს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ჰქონდათ ჩამორჩენა კონკრეტულ საგნებში. ექსპერტის განმარტებით, მშობლებმა დაადასტურეს, რომ მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამდნენ დისტანციური სწავლებისას ჩაეტარებინათ დამატებითი მეცადინეობები.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, იყო თუ არა დარღვეული სკოლის მხრიდან უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების მიღების პროცედურა. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ დარღვეული არ იყო მიღების წესი. მისი აღნიშვნით, პრობლემას წარმოადგენდა ინდივიდუალური გეგმების არ ქონა, რადგან აღნიშნულ მოსწავლეებთან მასწავლებლები არ მუშაობდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ვიზიტის შემდეგ უზრუნველყო მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა. აქვე, მან დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ამ ინდივიდუალური გეგმების გადამოწმების საშუალება არ ჰქონდათ. დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტს, რატომ იყო ასეთი მაღალი მიმართვიანობა ირანიდან აღნიშნულ სკოლაში. ხათუნა ბარაბაძის თქმით, მან აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი დაწესებულებისგან ვერ მიიღო. ექსპერტებს ჰქონდათ მცდელობა გასაუბრებოდნენ ტელეფონის საშუალებით ერთ-ერთ მოსწავლეს, თუმცა ვერ შეძლეს დაკავშირება საქართველოში არ ყოფნის გამო.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფს, თუ რა მდგომარეობა იყო მოცემულ მომენტში ინდივიდუალურ გეგმებთან დაკავშირებით, ორ არაქართულენოვან მოსწავლეზე, რომლებსაც ვიზიტის დროს არ ჰქონდათ აღნიშნული ინდივიდუალური გეგმები. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ აღნიშნული გეგმები სკოლამ ცენტში წარმოადგინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად, ექსპერტებს არ ჰქონდათ მათი გადამოწმების საშუალება. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული გეგმების გარეშე დასრულდა სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლას სსსმ მომსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ აღნიშნული მოსწავლეებისთვის სკოლას ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტის თქმით, სკოლაში ირიცხებოდა 2 სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც ინდივიდუალური გეგმების მიხედვით ხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. ხათუნა ბარაბაძემ აქვე დაამატა, რომ სკოლა მუშაობდა ინდივიდუალური გეგმებისა და მონიტორინგის გარეშე უცხოენოვან მოსწავლეებთან დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა, მისი თქმით, დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.
საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას არ ჰქონდა პასუხი კითხვაზე უცხოეთიდან ჩამოსული მოსწავლეთა მოზღვავების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მოზღვავების პროცესი იყო ერთჯერადი და სკოლაში სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეები. დაწესებულების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა დიდი გამოცდილება უცხოენოვან მოსწავლეებთან მუშაობის. სკოლის წარმომადგენელმა მიიღო ექსპერტების რეკომენდაცია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, თუმცა მან აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ საგნობრივი ინდივიდუალური გეგმები, რის საშუალებითაც ისინი აწვდიდნენ ბავშვებს მასალებს, რაც პროგრამულად იყო გათვალისწინებული. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პანდემიის შემდეგ ირანელი მოსწავლეები გადავიდნენ მათი სკოლიდან საჯარო სკოლებში. როგორც სკოლის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სკოლის მოთხოვნები მათ მოთხოვნებთან შეუსაბამობაში მოვიდა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით მოცემულ მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 11 უცხო ქვეყნის ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსწავლე. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ირანელი ბავშვებისთვის ქართული ენის უკეთ შესასწავლად სკოლამ შექმნა დამატებითი წრე, რომელიც ორიენტირებული იყო ამ ბავშვებისთვის ენის სწავლებაზე. წრეები მუშაობდა ჯგუფებად, ტესტის შეფასების მიხედვით, დონეების განსაზღვრით ნაწილდებოდნენ მოსწავლეები ჯგუფებში.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას გაანალიზებული მოსწავლეთა გადინების მიზეზები. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული საკითხის სიღრმისეული კვლევა არ ჩაუტარებიათ, თუმცაღა მიიჩნევდნენ, რომ სკოლიდან მოსწავლეების ბოლო წლების გადინება განპირობებული იყო პანდემიური მდომარეობით.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. კერძოდ, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალის საფუძველზე, რამდენად უსაფრთხო იყო ფოტოებზე ასახული სველი წერტილები ბავშვებისთვის და როგორ გეგმავდა სკოლა ამ პრობლემის აღმოფხვრას.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში დაცული იყო უსაფრთხოების ზომები და სკოლამ გამოთქვა მზაობა სხვადასხვა კლასებში მოსწავლეთა იმგვარად გადანაწილებაზე, რომ თითოეულ კლასში დაცული ყოფილიყო მოსწავლეთა უსაფრთხოება. მან ასევე აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია იყო დაწყებული სკოლაში და სექტემბრისთვის ექსპერტთა რეკომენდაციები შესრულებული იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდათ თუ არა მოსწავლის აღიარების შესაბამისობის დასკვნის წერილში მითითებული სკოლა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით რიცხავდა უცხოელ მოსწავლეებს, თუ ექსტერნის სახით დააძლევინებდნენ პროგრამას. ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ აღნიშნა, რომ გადმოგზავნილი აღიარების დოკუმენტის დასკვნაში სკოლას ეწერა, რომ მოსწავლე დაძლევდა სასწავლო პროგრამას ინდივიდუალური გეგმის საშუალებით.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ სკოლის წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას პანდემიამდე ჰქონდა აღნიშნული სამსახური, ხოლო მოცემულ მომენტში ეს სამსახური აღარ ფუნქციონირებდა. აქვე, მან დაამატა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავდა აღნიშნული მიმართულებით მუშაობას. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ უკვე დამატებული ჰქონდათ სპეცმასწავლებლის შტატიც, რომელიც დაეხმარებოდა სკოლას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობაში.
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით და მოცემულ ეტაპზე, არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათს (ს/კ: 212274867) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე ცენტრში წარმოედგინა იმ არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც იმ დროისთვის ირიცხებოდნენ სკოლაში. ასევე, საბჭო ითვალისწინებდა ექსპერტთა პოზიციას, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდეგ შემუშავებული ინდივიდუალურ გეგმებს გაცნობოდნენ და შეეფასებინათ, თუ როგორ ხორციელდებოდა ისინი მოსწავლეებთან მიმართებით. საბჭოს წევრების განმარტებით,

ასევე, უნდა შეფასებულიყო დაწესებულების მიერ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ, მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ექსპერტების დამატებითი შესწავლის საგანი უნდა გამხდარიყო სკოლის ადამიანური რესურსიც, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გეგმავდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის აყვანას და მასწავლებლებიც საჭიროებდნენ, ინდივიდუალური გეგმების შედგენასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით პროფესიული განვითარების აქტივობებს.
შესაბამისად, საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით მომდევნო სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით.

საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ, ნატო გაბოშვილმა და ეკატერინე კვირიკაშვილმა მხარი არ დაუჭირეს შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ერთ - ერთ სტანდარტს. შესაბამისად, ის იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას. მან ასევე განაცხადა, რომ მოცემულ ეტაპზე ის ვერ დარწმუნდა, სკოლის მზაობაში ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებასთან მიმართებით. თუმცაღა საბჭოს წევრი იმედოვნებდა, რომ სკოლა გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეზებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფილად დაგეგმვასთან და წარმართვასთან დაკავშირებით ბუნდოვანი იყო დაწესებულების პოზიცია. მან განმარტა, რომ ვერ მოისმინა მტკიცე არგუმენტები ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელიც არეგულირებს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხს.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, განმარტა რომ ექსპერტების მოსაზრება საგანმანთლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სამართლიანი იყო და ის იზიარებდა მათ შეფასებას. ასევე, მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით მან ვერ მოისმინა დაწესებულების მყარი პოზიცია, რომელიც შეუქმნიდა წარმოდგენას, რომ შემდგომ პერიოდში ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით იქნებოდა ცვლილებები.

3. **შპს სკოლა ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და ნინო მუმლაძემ. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, საავტორიზაციო ვიზიტი სკოლა ჩირაღდანში განხორციელდა მიმდინარე წლის 7 და 8 აპრილს. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტი 7 აპრილს განხორცილდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო სკოლის მატერიალური რესურსის შემოწმების მიზნით, ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 8 აპრილს.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. რუსთავში, სამსართულიან შენობაში, სკოლას ჰქონდა ეზო. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სკოლის ეზო არ იყო შემოსაზღვრული, რის საფუძველზეც, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სკოლა არ იყო დაცული გარეშე პირების გადაადგილებისაგან. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლა იყენებდა საგანმანათლებლო მიზნებისთის შენობის პირველ და მეორე სართულებს. საკლასო ოთახები განთავსებული იყო მეორე სართულზე, ხოლო პირველ სართულზე მდებარეობდა შესასვლელი მეორე სართულზე მოსახვედრად. მესამე სართული კი არ გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისათვის, არ იყო კეთილმოწყობილი და გამოიყენებოდა სასკოლო ინვენტარის გასათავსებლად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა გადაადგილება თავისუფლად იყო შესაძლებელი მესამე სართულზე, რაც ექსპერტებმა მიიჩნიეს საფრთხის შემცვლელად მოსწავლეების ფიზიკური უსაფრთხოებისათვის. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლის ეზოში განთავსებული იყო რკინის კონსტრუქციები და სხვა სამშენებლო ინვენტარი, რაც ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც საფრთხის შემცველი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ექსპერტის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ფოტო-მასალა.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას თვითშეფასების დოკუმენტში დაფიქსირებული ჰქონდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნა, რომელიც შეადგენდა 253 მოსწავლეს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე და ფუნქციონირებდა თერთმეტი კლასი. მეცხრე კლასი სკოლას არ ჰყავდა. თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებული იყო კლასში მოსწავლეთა რიცხოვნობის შესაბამისი მერხები. თუმცა, ექსპერტის განცხადებით, სკოლის მიერ მესამე სართულზე დასაწყობებული მერხები და სკამები დაზიანებული და გამოუსადეგარი იყო. ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტები არ ეთანხმებოდნენ სკოლის მიერ 253-ით განსაზღვრულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. ექსპერტთა შეფასებით, სკოლას მერხების რაოდენობის თვალსაზრისით საგანმანათლებლო მომსახურება შეეძლო 130 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სასკოლო საზოგადოების მხრიდან სკოლის ძლიერ მხარედ დასახელდა სკოლის მიერ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება და საგანთა გაღრმავებული და ინტენსიური სწავლება.

ექსპერტმა ასევე, განაცხადა, რომ სკოლაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები არ ტარდებოდა, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან გასაუბრებით. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რეგულაციებს. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, მასწავლებელთა პირად საქმეებში სრულად არ იყო წარმოდგენილი ის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრული იყო სკოლის შინაგანაწესით. ასევე, არ იყო წარმოდგენილი ნასამართლეობის ცნობები, რაც ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იყო განსაზღვრული მოთხოვნა მასწავლებელთა შერჩევისას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ მაქსიმალურ საგაკვეთილო

დატვირთვის საათებს. აღნიშნული შეუსაბამობის გამოსასწორებლად, სკოლამ ზედმეტი საათობრივი დატვირთვა გადაანაწილა სხვა პედაგოგებზე და სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება დამატებით 4 მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებელთან.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, თუმცა გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში არ მუშაობდა აღნიშნული ჯგუფი და, ასევე, არ ხორციელდებოდა დებულებით განსაზღვრული აქტივობები.
ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ განაცხადა, რომ სკოლას განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან არ ჰქონდა შეთანხმებული საათობრივი ბადე. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები ორიენტირებული იყო ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე და არ ითვალისწინებდა სააზროვნო უნარების შემოწმებას. ასევე, ექსპერტებმა შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია, რომ მოსწავლეებისათვის შეეთავაზებინათ მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებები, როგორც საბაზო და საშუალო, ასევე, დაწყებით საფეხურზეც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ შეამოწმეს მათ წინა სასწავლო წლების საათობრივი ბადე და თუ ფიქსირდებოდა მსგავსი ხარვეზი საგნების საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ წინა სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმების ნახვის საშუალება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და სკოლას, თუ არ ტარდებოდა სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, რატომ ჰქონდა სკოლას დაქირავებული სპორტული მოედანი. ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით აღნიშნულთან დაკავშირებით არ ჰქონდათ პასუხი. სკოლის დირექტორის, დავით კაპანაძის განმარტებით, აღნიშნულ სპორტულ დარბაზს სკოლა ყოველ სასწავლო წელს ქირაობდა, თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს პანდემიური სიტუაციის გამო ვერ იყენებდა დარბაზს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის. მან, ასევე, დაამატა, რომ სკოლა აქტიურად იყენებდა სკოლის ეზოსაც.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წამომადგენლებს, განემარტათ, რას მიიჩნევდნენ ისინი სკოლის ძლიერ მხარედ და როგორ ხდებოდა გაძლიერებული ინგლისურის და ისტორიის საგნებში მოსწავლეების შეფასება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, დავით კაპანაძემ განმარტა, რომ ყველა სასწავლო საგანში შემუშავებული ჰქონდათ კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები, რაც იძლეოდა სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
სკოლის დირექტორის, დავით კაპანაძის განმარტებით დაწესებულებას სასწავლო წლის დასაწყისში არ ჰქონდა შეთანხმებული განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან სკოლის საათობრივი ბადე, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ, მისი თქმით, აღნიშნული საათობრივი ბადე სკოლამ გააგზავნა განათლების და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დავით კაპანაძეს, დაეზუსტებინა შემდეგი საკითხი, კერძოდ, სკოლის მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მხოლოდ მისი პოზიცია იყო, თუ შემუშავებული იყო ერთობლივად სკოლის სხვა წარმომადგენლების მიერ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, დავით კაპანაძემ განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიცია შემუშავდა ერთობლივად, სასწავლო ნაწილის, კათედრებისა და სკოლის ხარისხის სამსახურის ჩართულობით. ნატო გაბოშვილმა კითხვით მიმართა დავით კაპანაძეს, თუ როგორ გადიოდა სკოლა თემატური მატრიცებით განსაზღვრული აქტივობებით სტანდარტით გათვალისწინებულ კონკრეტული კლასის შედეგებზე. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ

სკოლას კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა და თავად ცდილობდნენ შეემუშავებინათ მსგავსი თემატური მატრიცები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელს თხოვა განემარტა, თუ რა თემაზე ატარებდა იგი ტრენინგებს სკოლის პედაგოგებთან და რაში ხედავდა ის პედაგოგების საჭიროებებს პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დავით კაპანაძემ განმარტა, რომ მასწავლებლებთან ის ძირითადად საუბრობდა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, მეთოდურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებზე. დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რა იყო მიზეზი იმის, რომ რამდენიმე ოთახში არ იყო გათბობის სისტემა და დენის ნათურები. დავით კაპანაძემ განმარტა, რომ ზამთრის პერიოდში დაზიანდა გათბობის სისტემა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ როდის იყო დაწესებულება აღნიშნულ შენობაში გადასული. სკოლის დირექტორმა, დავით კაპანაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ შენობაში სკოლა ფუნქციონირებდა 2011 წლიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს სხდომაზე 17:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ჩირაღდანის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-0
წინააღმდეგი-12

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ჩირაღდანს (ს/კ: 216342330) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, რომელმაც გამოავლინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მრავლობითი და მნიშვნელოვანი შინაარსის დარღვევები. დავით მალაზონიამ, აქვე, დაამატა, რომ მოცემულ ეტაპზე ის ვერ ხედავდა სკოლის მხრიდან დასახელებული ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა დასძინა, რომ სკოლას უფიქსირდებოდა ძალიან ბევრი ხარვეზი, რომლის გამოსწორებასაც სკოლა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ვერ მოასწრებდა და შესაბამისად, მისი პოზიცია ემსახურებოდა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვას.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ ის დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, სადაც სამივე სტანდარტის მიხედვით სკოლას უფიქსირდებოდა ხარვეზები.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებაზე ავტორიზაციის ვიზიტის დროს კი არ უნდა დაეწყო, არამედ სკოლა მუდმივად უნდა ზრუნავდეს სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა